ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

დანართი A

საგრანტო განაცხადი/საპროექტო წინადადება
ორგანიზაციები სხვადასხვაგვარად ცდილობენ მიზნობრივ აუდიტორიასთან კომუნიკაციას . ამ პროცესს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს კომპანიის წარმატებისთვის, როგორც მისი არსებობის საწყის ეტაპზე, ასევე ფუნქციონირების მომდევნო ფაზებში. მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის ფონზე მარკეტინგული დანახარჯების შემცირება მრავალი ორგანიზაციისთვის არსებითია, თუმცა ბრენდინგის პრინციპებიდან გამომდინარე კომპანიის ბაზარზე უწყვეტ რეჟიმში პოზიციონირებაც აუცილებელია. ამ შემთხვევაში საყურადღებოა იმ არხების არჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ დროში ნაკლები დანახარჯით მესიჯის მიზნობრივი ჯგუფისთვის მიწოდებას. ტექნოლოგიურმა განვითარებამ წარმოშვა რეალურ რეჟიმში კომუნიკაციის საჭიროება. სოციალური მედია მარკეტინგი და ელექტრონულ სივრცეში განხორციელებული პროექტები მარკეტინგული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი ხდება. საქართველოში ეს ტენდენცია ისეთივე აშკარაა, როგორც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში. მარკეტინგული კამპანია ტრადიციული ფორმით ეფექტურობას კარგავს, რადგან მას სწრაფი ტემპით და შედეგების ეფექტური მაჩვენებლებით ანაცვლებს სოციალურ მედიასივრცეში განხორციელებული პროექტები. სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. მის სწრაფ გლობალურ გავრცელებას ხელს უწყობს სოციალური მედიისთვის დამახასიათებელი, მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ისეთი საშუალებები, როგორიც არის ოპერატიულობა, ინფორმაციის სწრაფი გადაცემა და ორმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა, იაფფასიანობა და ა. შ. მომხმარებელთა მუდმივი ზრდა. სოციალური მედიის, როგორც ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ელემენტის გამოყენება საქართველოში არსებული ორგანიზაციებისა და კომპანიებისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. სოციალური მედიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც ცდილობენ ფართო აუდიტორიისთვის მარკეტინგული მესიჯის მიწოდებას მინიმალური დანახარჯით და ბრენდის პოზიციონირებას ბაზარზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეისათვის 56 საგნობრივი და 11 მოდულური პროფესიული პროგრამა ხორციელდება. ამასთან, დღითიდღე იზრდება არსებული პროფესიული პროგრამებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა. პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციის და მათ შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია Youtube ბრენდირებული არხის შექმნა და სტუდიის მოწყობა, სადაც მომზადდება ვიდეო და ვიზუალური მასალა, პროფესიული პროგრამების სპეციალური ვიდეო გაკვეთილები და ლექციები, აიტვირთება პრომო და ანიმაციური ვიდეო-რგოლები. ზემოაღნიშნული პროექტი დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტში

მიმდინარე პროფესიული პროგრამების შესახებ, ხოლო სტუდენტებს დაეხმარება სასწავლო მასალის უკეთ ათვისებაში. სტუდიის მიერ დამზადებული და Youtube-ის ბრენდირებულ არხზე განთავსებული მზა ვიდეო რგოლები , ასევე დამსაქმებლებს მიაწვდის ინფორმაციას კურსდამთავრებულების უნარ-ჩვევების და კომპეტენციების შესახებ, გაზრდის საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირებულობას იმ შესაძლებლობების შესახებ, რასაც სთავაზობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.	
პროექტის განხორციელების ზუსტი ადგილი/ები/	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა *(პირდაპირი თუ ირიბი)* [3]	300 პროფესიული პროგრამების სტუდენტი; პროფესიული სექტორით დაინტერესებული ადამიანები, ფართო საზოგადოება.
ადგილობრივი ან ეროვნული, პარტნიორი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის ხანგრძლივობა*(თვეები)*	4 თვე 12.04 - 31.07 .2017
სავარაუდო ღირებულება*(GEL)*	9900 GEL
საქმიანობა	ტრენინგი: ბრენდირების სტრატეგია უმაღლესი სასწავლებლისთვის ექსპერტის ჰონორარი აუდიო რგოლების დამზადება ვიდეო გაკვეთილების დამზადება ბრენდირებული ვიდეო-ტიხრების დამზადება